ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 304

« 15 » აგვისტო 2017 წ

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, კალოუბნის ქუჩა №16-ში მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნაწილის (საკადასტრო კოდი: №01.19.20.015.017) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი წევრის - მარიამ ჯაშისთვის (პ/ნ 01015005227) გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, `ქ. თბილისში, კალოუბნის ქუჩა №16-ში მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნაწილის (საკადასტრო კოდი: №01.19.20.015.017) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი წევრის - მარიამ ჯაშისთვის (პ/ნ 01015005227) გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 19 ივლისის №26.22.531 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, კალოუბნის ქუჩა №16-ში მდებარე შენობა-ნაგებობა №1-ში, პირველ სართულზე არსებული 198.24 კვ.მ. ფართიდან 83.92 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: №01.19.20.015.017) საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი წევრის - მარიამ ჯაშისთვის (პ/ნ 01015005227) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე, სამგორის რაიონის №12 ოლქის მაჟორიტარი პარლამენტის წევრის ბიუროს განთავსების მიზნით.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 8 000 (რვა ათასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი